წელიწადი 2-რე № 11

ქუთაისი, ოთხშაბათი 17 აპრილი 1918 წ.

რედაქტორი
კატო მიქელაძე

გამომცემელი
ინტერპარტიული
ქალთა ლიგა.

ხმა ქართველი ქალისა

რედაქციისაგან.
კანტორა ღიაა დილის 9 საათ. 3 საათამდე, საღ. 5 ს.–8 საათამდე. ავტორის მიერ ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ დაბეჭდავს. რედაქციის მისამართი ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. № 12 სახლი პეიშვილისა შესასვლელი ჭიშკრიდან ეზოში

ფასი 20 კ. ყოველ კვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი ფასი 20 კ.

საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანასწორობა სქესთა წინაშე კანონისა!

ამიერ კავკასიის დამოუკიდებულება.

დიდი ყოყმანისა და რყევის შემდეგ ამიერ კავკასიის სეიმა აღიარა თავის დამოუკიდებულობა. და მით საქართველომ ზურგი აქცია რუსეთის ორიენტაციას.

ამიერ კავკასიის მთავრობა, რომელიც გუშინ საომრად მოუწოდებდა ხალხს სამშობლოს დასაცველად დღეს უკვე ზავსა კრავს ოსმალეთთან. არც ერთი მისი ასეთი გადაწყვეტილობა არც ზავი და არც დამოუკიდებულობის მიღება ხალხისათვის არარის ცნობილი ყოფილი რევოლიუციონური მთავრობა ამიერ კავკასიისა სახელმწიფოებრივ საკითხში ისე საიდუმლოთ მოქმედებდა, ხალხის [illegible] ბიუროკრატული მთავრობა რუსეთისა.

ამიერ კავკასიის მთავრობა, რომელიც ამ ერთი კვირის წინათ საომრად მოუწოდებდა ხალხს იმის გარჩევაში არ შედიოდა, თუ რამდენათ სამხედრო თეატრის გასაჩაღებლათ განწყობილი იყო ჩვენი ქვეყანა ნივთიერად და სულიერად, რამდენათ მისი ასეთი გადაწყვეტილობა შეეთანხმებოდა იმ დელეგაციის ნაბიჯს, რომელიც მან ტრაპიზონში საზავო მოსალაპარაკებლად გაგზავნა, რამაც ჯარსა და მცხოვრებლებ შუა უცნაური გაუგებრობა დაბადა, და მით ხელ ახლა არევ დარევას საბაბი მისცა. ბათუმის სამი დღის განმავლობაში დაცემა ისეთი სამარცხვინო ფაქტია ქართველი მხედრობის ისტორიაში, რომლის სირცხვილს ის ვერის ოდეს ვერ ჩამოირეცხს; და რომელიც აბათილებს ყველა იმ სახელს სიგმირისას რაც ქართველს ხალხს რუსეთის მთავრობის მიერ გაჩაღებულ ომებში მოუპოვებია.

ჩვენი ეროვნული თავ-მოყვარეობისათვის გაცილებით უკეთესი იყო სრული უარისყოფა ოსმალეთთან ბრძოლისა, ვიდრე ისეთი სულიერი განწყობილებით საომრად გამოსვლა, როგორც იყო მეოცე საუნის ქართველი ჯარისა. და ეს ისტორიული სირცხვილი თავზე მოახვია ქართველ ხალხს არა მარტო ამიერ კავკასიის მთავრობამ, არამედ თვით ქართველმა ჟურნალისტებმა რომელიც ერთხმათ მოითხოვდენ სამშობლოს იარაღით ხელში დაცვას. გამონაკლის ამ შემთხვევაში შეადგენდენ ს. რ. რომლებიც აშკარა წინააღმდეგობას უცხადებდენ ომის გაჩაღებას, არა მისთვის რომ მათ სხვებზე ნაკლები სიმამაცე ჰქონოდათ, ან ნაკლები სიყვარული თავიანთი სამშობლოსა, არამედ მისთვის, რომ ფხიზელი თვალით უცქერდენ სინამდვილეს და მოელოდენ იმ შედეგს რაც ბათუმის დასაცველად გასული ჯარის მოქმედებამ მოგვცა. დღეს ამიერ კავკასიის სეიმი ამ შეცდომას ასწორებს: აცხადებს დამოუკიდებულებას და რუსეთის ორიენტაციას ზურგს უბრუნებს. ჩვენ ქართველი ქალები სიამოვნებით ვეგებებით ამ ნაბიჯს არა მისთვის რომ ჩვენ რუსეთის ორიენტაციის ზურგის ქცევა გვახარებდეს, არამედ მისთვის, რომ [illegible] ერთ გამოსავალ საშუალებათ, იმ კრიტიკულ მდგომარეობიდან, რომელშიაც დღეს ვიმყოფებით, ჩვენ ქართველი ქალების ერთი ნაწილი ძრიელ კარგათ ვგრძნობთ თუ რა საშიშროება მოელის ჩვენს სწორუფლიანობას ქართველი ერის გერმანო ოსმალთა ორიენტაციის მიღებით, მაგრამ ამ შიშს ის მოფიქრება გვიქარვებს, რომ ქართველი ქალები შესძლებენ თავიანთი პიროვნული და მოქალაქური უფლების დაცვას. იმერეთის ქალებმა ამ მხრივ უკვე გადადგეს თავიანთი პოლიტიკური ნაბიჯი. ამიერ კავკასიის სეიმს მათ გაუგზავნეს დეკლარაცია თავიანთი უფლებრივი მოთხოვნილებისა, რომელიც მამაკაცთა ჟურნალ გაზეთებმა ჩვენს სამშობლოში სიჩუმით ჩაატარეს; და მით უფრო მეტი საბაბი მოგვცეს ჩვენი პოლიტიკური უფლებისათვის ბრძოლისა. ეხლა ჯერი თბილისის გუბერნიის ქალებზე მიდგა მათ უნდა დაანახონ ამიერ კავკასიის სეიმს თავიანთი მოქალაქური სიმწიფე და ის რომ შეუძლებელია განუმტკიცებლობა დიდი რევოლიუციის მიერ აღიარებულ ქალთა სწორუფლიანობისა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებისითვის ქართველმა ქალებმა ეხლავე უნდა შეუდგენ მზადებას და ემზადებიან კიდეც. თბილისელ ქართველი ქალების ფხიზელი ნაწილი ამ მიზნით მოიწვევს სრულიად საქართველოს ქალთა ყრილობას, რომლის პროექტი უკვე შედგენილია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ყრილობას ქართველი ქალები მთელს თავიანთ ყურადღებას მიაქცევენ და ყოველ კუთხიდან დაესწრებიან. ჩვენ ვთხოვთ როგორც ქალთა ორგანიზაციებს, ისე ყრილობის მომწყობ ბიუროს რაც შეიძლება ფართოთ ქალთა მასას აცნობონ ყრილობის დღე, რათა მეტი მომზადებით წარსდგენ მის წინაშე

ქ. მ.

რა მონაწილეობას იღებდენ ქალები უცხოეთში სამშობლოს დაცვაში.

გამოაცხადა თუ არა ომი ინგლისის მთავრობამ ყველა პოლიტიკური დამნაშავე სატუსაღოდან [illegible] შვა, მათან ერთად სუფ[illegible] [illegible] 1906 წლიდან მთავრობას ებრძოდა თანასწორ უფლებების მიღებისთვის. სუფრაჟისტკებმა ეხლა შესცვალეს თავისი ფრონტი და მთელი თავისი სამაგალითოდ მოწყობილი ორგანიზაციებს სამშობლოს დაცვას ახმარებენ. დაბრუნდა სამშობლოში გადახვეწილი სუფრაჟისტკების ბელადის ევლინია პანკხერსტის ქალი კრისტაბელი. კრისტაბელმა გამართა მიტინგი, რომელზედაც დაესწრო აურიცხველი ხალხი მან განაცხადა, რომ ამ დღიდან სპობს მთავრობასთან დავას და მოუხმობს ქალებს ყოველი თავის ძალა მოახმარონ მტრის მოგერიებას, მაგრამ ამავე დროს უფლებებზე ზრუნვა არ უნდა დაივიწყონ. კრისტაბელი და მისი დის სილვიას ხელმძღვანელობით სუფრაჟისტკები შეუდგენ სამშობლოს დაცვის საქმეს. დაგზავნეს ყველგან პროპაგანდისტკა ქალები ყოველ ბულვარში დიდ მოედნებზე ჯვარადინ გზაზე დავინახავდით სუფრაჟისტკა ქალს ზონტიკით ხელში (ლონდონში სულ წვიმს) საიდგანაცგან ნდებოდა ტაბურეტკა ან ხის ყუთი ეს ჯერ კათედრა იყო მერმე მაგიდათ გადაქცეული-ეს ვახლდათ მოძრაობა ბიურო.

სუფრაჟისტკა აუწერლად მჭერმეტყველათ სამშობლოს განსაცდელს ომისაგან; და აუცილებელ საჭიროებას ქალების დახმარებისას თავდაცვაში და მოუწოდებდა ჩაწერას. ყოველი წოდების ქალი ეწერებოდა გრაფინიადან დაწყებული ღარიბ გლეხ ქალებამდე. ეწერებოდენ ვის სად შეეძლო მუშაობა ან სად გამოდგებოდა.

[illegible] პანკხერსტებმა [illegible] ყველა ქალები ორ ჯგუფათ [illegible] და [illegible].

სუფრაჟისტკები არ [illegible] მომზრო რომ ქალი იარაღით გაიდეს, [illegible] ველზე და [illegible] დაღუპულიყო. ამის გარდა რაც კი შრომა [illegible] კაცს [illegible] პოზიციაზე ან ზურგში ისინი ყველა შრომას კისრულობენ. პოზიციაზე [illegible] ქალების ხელმძღვანელობდა კრისტაბელ პანკხერსტი. მასთან ჩაეწერა 10,000 ქალი 18 წლიდან 30 მდე ყველა-ესენი [illegible] გაიყო [illegible] რაზმში [illegible] სამხედრო შკოლას გა[illegible] [illegible] რაზმში ჩაწერილი [illegible] [illegible] რაზმისა მეთაური [illegible] და თავი შესწირონ სამშობლოს ეს 10,000 ქალის რაზმი იყოფოდა როტებათ, თითო როტაში 500 ქალი. მათ ყავდათ პოლკოვნიკები, კაპიტნები, ოფიცრები და სხვა. იქ დისციპლინა [illegible] იყო დაცული. ამ გვარათ მომზადებული ქალები 600 გაგზავნეს საფრანგეთში ინგლისის ფრონტზე

ესენი იყვნენ ტელეგრაფისტკები, ტელეფონისტკები, შოფერები პილოტები, სიგნის მიმცემი, მზვერავი რაზმი, რაზმი, რომელიც ტყვეებს და დაჭრილებს დაპატიმრებდენ, [illegible] გაყვებოდენ. და სხვა.

დიდი [illegible], [illegible] ველინგტონმა დაარსეს [illegible] ნემცების შპიონების [illegible]. სილვია პანკხერსტმა ზურგის გამაგრებას შეუდგა. უწინარეს ყოვლისა გახსნა მრავალი შკოლები, სასადილოები და თავშესაფარები (ясли) ჩვილ ბავშვებისათვის ყველა ამ დაწესებულებებში 75, 000 ბავშვი მოთავსდა. სილვიამ მოაწყო ეგრეთვე სამეურნეო კურსები სადაც 400, 000 ქალი მომზადა უმეტეს ნაწილათ. მოსწავლე ახალგაზრდობა იყო. ამათ ეცვათ ერთგვარი ტანისამოსი, მოხერხებული სამუშაოთ, მწვანე გერბებით და კანტებით გაწყობილი ეს მომზადებული ახალგაზრდობა სულ პოედთ სოფლებს. რომლებმაც დიდი დახმარება გაუწია სამშობლოს. [illegible] ყოველთვის ეხმარებოდა მუშა ქალების წარმომადგენელი ანნა კენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

30,000 მუშა ქალი ჩაეწერა ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც მზადდებოდა ომისათვის საჭირო საგნები და ჯარის ამუნიცია. დიდი ორგანიზაციის წყალობით ინგლისის ქალების მუშაობა მწყობრი, და დიდი ნაყოფიერი და თვალსაჩინო გამოდგა. თავიდანვე მთავრობა მტერი იყო სუფრაჟისტკების, ეხლა მეგობრები არიან მათი იმისთანა დაუძინებელი ქალების უფლების მტერმა, როგორიც იყო პირველი მინისტრი ასკვიტი იმანაც შეიცვალა თავისი აზრი სუფრაჟისტკებზე, ამიტომაც ქალებმა მიიღენ არჩევნების უფლება 30 წლის ზემოთ და არის იმედი, რომ ისინი მოიპოვებენ სრულ თანასწორ უფლებას და თანაც განამტკიცებენ მას სამუდამოთ.

გერმანიაში სულ სხვა სურათია. გერმანია, ერთად ერთი მხარეა სადაც მილიტარიზმი განვითარდა უმაღლეს მწვერვალამდე. აქაც შეიქმნა ორი მიმართულება-უმრავლესობა მომხრე მილიტარიზმისა უმცირესობა წინაამდეგი ამისი. ომამდე იყო ამ ორი მიმართულებათა შორის ბრძოლა იდეური, ომის წინაამდეგ გამოვიდა მართაუტნერი მეგობარი ამ შემთხვევაში ლ. ტოლსტოისა მანდასწერა ომის წინაამდეგ წიგნი შემდეგი სათაურით ძირს სამარი იარაღი (Далой оружіе) ომის გამოცხადებამდე გარდაიცვალა ის. დიდი გავლენა რაც მისმა წიგნმა მოახდინა, ომის დროს შესუსტდა მაგრამ მაინც გამოჩნდნენ მისი აზრისდამცველნი: როზა ლილქსემბურგი და კლარა ცეტკინა მათ მხარი დაუჭირეს ლიბკნეტმა და კ. მერინგმა. მთავრობა ძლიერ სდევნიდა მათ და ბოლოს კიდეც დაატუსაღა როზა ლუქსენბურგი. უმრავლესობა ქალების ძალიან დახმარებას უწევენ მთავრობას მტრის მოგერებაში აქ უფრო ხშირათ ვიდრე სხვა ერებში ქალები იარაღით ხელში საომარ ველზე მამაკაცებთან ერთად მტერს ებრძვიან. ყველაზე უფრო ნიჭი გერმანელ ქალებმა ზურგის გამაგრებაში გამოიჩინეს, თავიანთ მოჭინაობაზე ისინი ამბობენ „დიასახლისის მომჭინაობა სამზარეულოში ხელსუწყობს საომარ ველზე მტერზე გამარჯვებასო. მთავრობაც დიდი თანაგრძნობით შეხვდა ქალების მიმართულებას და როგორც კი ომი გამოცხადდა დაარსა 150 კურსები. აქ პროფესორები კითხულობდენ ლექციებს, სადაც ასწავლიენ კონსერვების კეთებას, ხილის შენახვას, ბოსტნეულობის გახმობას და ისეთ შენახვას, სხვა და სხვა მეცნიერულ რეცეპტებით სადილის მზადების. ეს იმას ნიშნავდა თუ ერთი თავი შემოაკლდებოდა, მის მაგიერ რა უნდა ეხმარა, რომ ნოყიერი საჭმელი ყოფილიყო. ერთი სიტყვით მეცნიერების საშუალებით იძენდენ ცოდნას ყოველ ნაკლუნოვანების, როგორ უნდა შებრძოლებოდენ.

ყველგან მოსპეს ორანჟერიები და ქოთნით ყვავილები და მათ ადგილას კართოფილი დათესეს. სტუდენტი ქალები ბერლინისა სოფლებში სამეურნეო დარგში ისეთ მუშაობდენ როგორც უბრალო სოფლის მუშა. ამავე დროს ქარხანა-ფაბრიკებში, ამუნიციის მზადებაში დიდძალი ქალები იღებენ მონაწილეობას. ყველგან და ყოველ დარგში ომში წასულ მამაკაცის საქმე დაიჭირეს და კარგადაც უძღვებიან. გერმანელი სუფრაჟისტებიც არიან ჩაბმული საერთო ფერხულში ისინი მოითხოვენ ქალების მონაწილეობას ხალხის წარმომადგენლობაში და ეგრეთვე ადგილობრივ მართვა-გამგეობაში. გერმანიაშიც არის ქალების ისეთი ეროვნული ორგანიზაციები, როგორიც საფრანგეში, ესენი მოითხოვენ, რომ ქალებმა მიიღოს მონაწილება, სართაშორისო ზავის შეკვრაში.

საფრანგეთში ქალები დიდ მონაწილეობას იღებენ სამშობლოს დაცვაში, მაგრამ ამათი მონაწილეობა უფრო ქველმოქმედურია-სცდილობენ ზურგის გამაგრებას, და ძლიერ ებრძოდენ ფლანგავს. ფრანგის ქალები მოყვარული-მოდისა, ამ შემთხვევაში მას თავს ანებებს, არავინ არ ატარებს ძვირფას სამკაულს, და ყველა ის შესწირეს სამშობლოს თავდაცვის კომიტეტს. ფრანგის სუფრაჟისტკებმა ქალი გაიყვანეს მუნიციპალიტეტში. იტალიაშიც იმგვარი შრომაა ქალების, როგორც საფრანგეთში, აქ სადაც საქმეში სუფრაჟისტკები უდგია მუშაობა უფრო შევნებულია და ნაყოფიერიც. ქალებს უხდება ამ შემთხვევაში უფრო კარგ პირობაში მუშაობა, თანასწორ შრომისათვის თანასწორი ჯილდოს მიღება.

იტალიელ სუფრაჟისტკებმა მთავრობას აღიარებინეს, რომ ლეგალური და არალეგალური ოჯახისათვის თანასწორი. დახმარება მიეცათ.

რუსეთში ომმა ქალების შრომის სპარეზი ყოველ დარგში გააფართოვა როგორც ქალაქებში ისეთ სოფლებში. ომში წასულ [illegible]აბის ადგილი ქალებმა დაიჭირეს, დიდი მხნეობით შეუდგენ საქმეს. ქალების მუყაითი და დაკვირვებული შრომა ყველგანცნობილი შეიქნა. პირველათ თუ შიშით ქალებს აძლევდენ ადგილს მერმე კი დიდის ნდობით თავაზობდენამ შემთხვევაში დიდი ფხა გამოიჩინეს სოფლის გლეხის ქალებმა, წინადაც ისინი ნაჩვევი იყვენ თესვა ხვნას, ომიანობამეს საქმე გაათკეცეთა. გლეხის ქალებს დიდ დახმარებას უწევდა ერობა. აძლევდა სამუშაო იარაღს, ახალ მანქანებს, თესლეულობას ქალებმა მიყვენ ხელი ახალი სისტემით თესვას, მკას დაარსეს შკოლები, დიდი ბრძოლა გაუწიეს ლოთობას დახურეს სარაყო დუქნები პირველხანებში დიდი კეთილდღეობა დაეტყო სამეურნეო რუსეთს მოსწავლე ახალგაზდა რაზმები ზაფხულობით შველოდა სოფლის დედაკაცებს. ერთი სიტყვით როგორც თავდაცვაში ისეთ რევოლიუციის გაღრმავებაში რუსის ქალებმა დიდი ღვაწლი დასდევს ქვეყანას.

პირველი სუფრაჟისტკა.

ზნეობა და პედაგოგიკა

საზოგადოების ერთი უმთავრეს საზრუნავს საგანს შეადგენს მოზარდი თაობის რაციონალურ ნიადაგზე აღზრდა

ყოველი ახლად დაბადებული ბავში შემატებაა საზოგადოებისა, რომელიც უნდა ხედავდეს მასში თავის მერმის

ტანმრთელი ჩვეულების განვითარება.

5.

აქ უადგილო არ იქნება აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მშობლებს, რომელთაც სურვილი აქვთ ბავში შეაჩვიონ სიცივეს გაჰყავთ იგი ყინვაში თითქმის სრულიად გახდილი. მათ უჩანთ ტიტველი წივები და აცვიათ საზაფხულო პალტო. ის მთლად გალურჯებულია და კანკალებს უნდა ვაღიაროთ რომ ასეთი საშუალება საკმარისად სასტიკია და საეჭვოა მიახწევს თუ არა იგი მიზანს. გაციების გასაფრთხილებლად სრულიად საკმარისია ყოველ დღე ცივი წყლით ბანება და უშიშროება ფანჯრების გაღებისა.

პატარა ბავშებში აუცილებლად საჭიროა წმინდა ჰაერში ყოფნის სურვილის განვითარება. თუ რომ ბავში დაიბადა ზაფხულში ორი კვირის შემდეგ ის უკვე გაყვანილი უნდა იყოს წმინდა ჰაერში ახდილი კოლიასკით თხელ მატერია გადაფარებული. 6 თვის ბავში გაყვანილი უნდა იქმნას ცივ ჰაერში. ბავშებს ძლიერ უყვართ სეირნობა და თვით პატარეები როგორც დაიწყებენ გაგებას თუ არა დიდი სურვილით სარგებლობენ ახდილი ჰაერით და იჩენენ აშკარა წინაამდეგობას ოთახში დაბრუნებისათვის. დედებმა უნდა ისარგებლონ ბავშის ასეთი მიდრეკილობით და ყოველ დღე გაიყვანონ ისინი სასეირნოთ ტემპერატურის შესაფერად შემოსილნი.

თუ რომ ჩვენ გვსურს რომ ბავში იყოს ტანმრთელი ის არ უნდა გავხვიოთ სათბურებში ადრე გაზაფხულში და შემოდგომაზე. უნდა გვახსოვდეს რომ მხოლოდ ზამთარშია საჭირო ეგ სათბურები და არა გაზაფხულში და შემოდგომაზე.

ხშირად შეხვედრია რომ გამოიყვანენ თუ არა ბავშს გარედ მას ხელსახოცით უხვევენ ცხვირსა და პირს. მსგავსი ჩვეულება ერთობ მავნებელია. ნაწილი გაფუჭებული ჰაერისა ამოსუნთქული ბავშიდან რჩება ხელსახოცზე რომელიც სუნთქვის დროს უკანვე ბრუნდება ფილტვებში. როგორი სიცივეც არ უნდა იყოს გარედ ცხვირ-პირი ბავშისა მუდამ ახდილი უნდა იყოს, რომ მას თავისუფლად შეეძლოს სუნთქვა წმინდა ჰაერისა.

როცა ბავში სიარულს იწყებს მას უნდა მიეცეს საშუალება ზამთარში ეზოში და ქუჩაში მოძრაობისა რომ შეგროვოს, რაც შეიძლება მეტი მჟავ-ბადე თავის სისხლში და იყოს ტანმრთელი.

ბავშის ტანმრთელობა მჭიდროთ დაკავშირებულია მუსკულთა მოძრაობასთან. მავნებელია აგრეთვე ბავშის მაგრად გახვევა ან ჩაკვრა აკვანში. ეხლანდელს დროში იშვიათია ისეთი ცოტა ოდენ განათლებული დედა რომელიც ამას ჩადიოდეს, და ეგ ჩვეულებაც გადის ხმარებიდან. რამდენათ უფრო მოძრავია ბავში, იმდენათ ტანმრთელია იგი. ამ ხანებში არ უნდა შევაჩვიოთ იგი დედის ან ძიძის ხელით ერთობ სარგებლობას. როგორც ხშირად ვხედავთ პატარა ბავშებს, რომელიც მუდამ ხელზე უზით და ახტუნავებენ. და შემდეგ კი იღლებიან და კვნესავენ: „დაჯდი პატარა ხანს წყნარად, მკლავები დამაგდა“ და სხვა. შეჩვეული ხელზე ტარებას ბავში კი სტირის და მასვე მოითხოვს.

ამ გვარად ვღებულობთ საურთიერთო შეწუხებას, რომელიც ადვილად აცილებული იქმნებოდა, რომ შეგვეჩვია ბავში თავისი საკუთარი ღონით სარგებლობას. უკეთესი იქნება რომ სულ არ ატარებდენ ბავშს ხელით. დეე ის იჯდეს თავის ლოგინში, ან აიტაკზე და თვით სწავლობდენ სიარულს სხვების დაუხმარებლად. ეს მხოლოდ სასარგებლო იქნება მისთვის და მისი მუსკულური სისტემა უფრო განვითარდება. როცა ბავში დაიწყებს სიარულს არ უნდა უყვიროდეთ მას: „არ დაეცე!'' და სხვა. ამით მასში გამოურკვეველს შიშს ვანვითარებთ რაც ერთობ მავნებელია მისთვის. დეე დაეცეს და ადგეს თვითონვე, თუ რასმეს იტკენს ის დაასწავლის მას სიფრთხილეს, მხოლოდ საჭიროა ყურის გდება, რომ ეს არ ხდებოდეს ისეთს ადგილს სადაც ბავშის გადავარდნა შესაძლებელია. ტანმრთელი ბავში დიდს სურვილს გრძნობს მოძრაობისას დედა და ძიძა კი თავიანთი მუდმივი გაფრთხილებით ერთობ ზღუდავენ მის თავისუფლებას და ამ გვარად უფუჭებენ მას იმ სურვილს რასაც იწვევს მასში თვით ბუნება.

„ბუნებას აქვთ თავისი საშუალება სხეულის გასამაგრებლად და მის გასაზრდელად, ამბობს რუსო. —ბავში არ უნდა გააჩეროთ ადგილზე, როცა მას სურს წასვლა და არ უნდა ატაროთ მაშინ როცა მას სურს გაჩერება. საჭიროა რომ ის ხტუნავდეს დარბოდეს, ყვიროდეს როცა მოესურვება. ყველა მისი მოძრაობა შეადგენს საჭიროებას მისი აგებულობისას რომელიც ეძებს თავის გასამაგრებელ საშუალებას.“

ლანგრაჟი ფიზიკურ ვარჯიშობის შესახებ ამბობს: „ჰიგიენა ესწრაფვის მისცეს ბავშებს ის თვისება, რომელიც სიმარდეზე და მუსკულურ ძალაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომელიც ემსახურება საფუძვლად ყველა ფიზიკურ თვისებას: ტანმრთელობა მდგომარეობს სასიცოცხლო ფუნქციის სრულს წონასწორობაში, ვარჯიშობამ უნდა დაიჭიროს მათი წონასწორობა, რადგან უმისოთ ირღვევა იგი. თუ ჩვენ ავიღებთ იმ ბავშს, რომელიც ატარებს უმოძრაო ცხოვრებას დავინახავთ რომ არც ერთი ფუნქცია მისი ორგანიზმისა არ აცდება დამღუპველს გავლენას ვარჯიშობის ნაკლულევანებისას.“

თუ ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი ბავშები იყვნენ ტანმრთელნი და მომქნელნი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც იქცეოდენ ობლომოვის მშობლები. „მოისურვებს თუ არ რასმეს ილია ილიჩი მისთვის საკმარისია ერთი წუთი რომ სამი ოთხი მოსამსახურე ასრულებდენ მის სურვილს; დააგ-

ეროვნული

და თვით არსებობის გაგრძელებას ამისათვის არის ვალდებული საზოგადოება იზრუნოს მოზარდ თაობის ფიზიკურ და სულიერ განვითარებაზე. კერძოთ მშობლების მოვალეობას წარმოადგენს არა მარტო ინსტინკტიური სიყვარული თავიანთ შვილებისადმი, არამედ და უმთავრესად, ის რომ მისცეს მას სწორი მშობლიური აღზრდა ოჯახში და თვალ ყური ადევნოს თავის შვილის განვითარებას სკოლაში. ასეთი მშობლები სამწუხაროთ ძრიელ ცოტანი არიან ჩვენში რადგან მათ თვით არ მიუღიათ სწორი აღზრდა ჩვენი დამახინჯებული აღმზრდელობითი მეთოდის მეოხებით და თუ აქა იქ მოგვეპოვებიან ასეთი დედები ეს შეადგენს გამონაკლის რაც მიეწერება მათ ბუნებრივ ნიჭს. უმრავლეს შემთხვევაში ჩვენი მშობლები ძალიან შორს დგანან სკოლებთან და წარმოდგენაც არ აქვთ თუ რა მუშავდება მისი შვილების გონებაში ოჯახის გარედ. ხალხის უმრავლესობას ხომ შესაფერი ცოდნაც არ შესწევს რაიმე შესწორების შესატანათ მით უმეტეს როცა სწავლის მეთოდი აგრე ხშირად იცვლება. და მთელს ბედ იღბალს თავიანთი შვილებისას აბარებენ მასწავლებლებს, რომლებიც ხშირად არა დგანან თავიანთ სპეციალური საქმის სიმაღლეზე. ავგზებელი რომელიც აგრე უარყოფით უცქერის თანამედროვე უმაღლეს და საშუალო სასწავლებლის პედაგოგებს დიდს იმედს ამყარებს დაბალ სასწავლებლის მასწავლებლებზე და იქედან ელის ხსნას მომავალი თაობისას. მხოლოდ როდესაც ჩვენი ქვეყნის სწავლა განათლების საქმეს დავაკვირდებით უნდა ვაღვიაროთ, რომ როცა ბებელი სხვადასხვა ქვეყნებიდან დაბალ სასწავლებელის პედაგოგებზე ასეთს დადებითი ცნობებს კრეფდა, მას ჩვენი სამშობლოს სახალხო სკოლებზე წარმოდგენაც არა ქონდა და მით უმეტეს ქ. სამტრედიის პედაგოგებზე, სადაც სამწუხაროდ ჩვენდა ყველაზე მეტად თავი ისახელა ისევ ჩვენი დაჩაგრული სქესის წევრმა.

ამ ქალბატონს სასაცილოდ არა ჰყოფნის ქალთა ლიგის არსებობა რასა, რასაკვირველია თვის მოწაფეებსაც ჩაუნერგავს. მისი აზრით ქალთა ლიგის არსებობა მამაკაცებიდან გამოყოფას ნიშნავს. ის თხოულობს განსაკუთრებულს კავშირს მამაკაცებთან და ყოველ ცდას ქალთა თვით მოქმედებისას ეგ „ძრიელი სქესის“ ტიკინა „პედაგოგი“ თავისი უძლური სულით აშკარა ბრძოლას უცხადებს.

ასეთი მჭიდრო კავშირით მან მართლაც რომ მიიქცია ყურადღება სასკოლო კომიტეტისა და დღეს ძლევამოსილობაც მოიპოვა. იმ დროს როდესაც მრავალი მშრომელი პედაგოგი ადგილსაც ვერ პოულობენ. მას ებოძა ერთი ბედკრული სამტრედიის სკოლის ზედამხედლობა. ვინაიდან ქალთა უფლების მტერნი დარწმუნებულია რომ მომავალი თაობა უნდა აღიზარდოს მათი ზნეობრივი თვალთახედვის თანახმად, ასეთი საქმე რასაკვირველია უნდა ჩაებარებინათ თავიანთი მომდევარ მასწავლებელ ქალისათვის და ჩააბარეს კიდეც.

დღეს ეს ანტისუფრაჟისტი პედაგოგი ქალი აღჭურვილია განუსაზღვრელი უფლებით და რაც აკრძალულია სხვისთვის ის ნება დართულია მისთვის. მაგალითად ქ.ნ. მასწავლებელს შეუძლია, როცა უნდა მობრძანდეს სკოლაში და როცა არა სურს მოისვენოს სახლში. ავათმყოფობა სხვებისათვის თუ აკრძალულია, ანტისუფრაჟისტს მასწავლებელს შეუძლია ძალათაც თავი მოიავათმყოფოს. მას უფლება აქვს უყვიროს, უბრძანოს არა თუ თავის მეშვერდომ ამხანაგებს აგრეთვე გარეშე სკოლისასაც. ის ამავე დროს სასკოლო კომიტეტის წევრიც ბრძანდება, სადაც ყველაფერი გაუდის და არც არავინ ყავს პასუხის მომთხოვი. მამაკაცებმა იციან თავიანთი ტიკინების ნებივრობა და ესეც ფართოთ სარგებლობს მითი. და რაღა გასაკვირია რომ ის ქალთა ლიგას მტრობდეს, იმ ლიგას რომელიც მიზნათ ისახავს დედაკაცის დამოუკიდებლობის აღდგენას.

ამ სასწავლებლის მოწაფენი დალაგებით მოგვიყვებიან თავიანთ მასწავლებლის ავ-კარგიანობას, რასაც ითვისებენ კიდეც. კარიერის შესამჩნევად იმედია მრავალი სუსტ ხასიათის ახალგაზრდა მასწავლებელი ქალები მიბაძვენ მას. ჩვენში ხომ დამოუკიდებელ აზროვნების და შრომის ნებივრობა სჭარბობს და ასეთს სულის და ხორცის დამადუნებელს მოვლენას სკოლებში სრული თავაზიანობით უცქერის როგორც სასკოლო დირექცია, ისე მასწავლებელთა კავშირი!

დროა მშობელთა წრემ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ასეთს ანტიპედაგოგიურ მოვლენას ჩვენს სკოლებში და დაიფარონ თავიანთი შვილები სულიერ სიმახინჯიდან. დროა თვით მასწავლებლებმა შეიგნონ თავიანთი მოვალეობა და სანამ მოზარდ თაობის განვითარებას ხელს მოკიდებდენ ჯერ თვით ამაღლდენ ზნეობრივად და გონებრივად.

სამტრედიელი ქალი.

დეს იგი რასმეს, ან მოისურვებს რაიმე ნივთს იმ წამსვე სხვები დარბიან მისთვის. ხან და ხან როგორც ცოცხალს ბიჭს აბლომოვს უნდა თვით გაიქცეს და გააკეთოს ყველაფერი, მაგრამ აქ უცებ მამა დედა და სამი მამიდები ხუთი ხმა ერთად დაუყვირებს:

—რისთვის? სად? ვანკა?, ზახარკა რას აკეთებენ?

„ვერ ახერხებს ილია ილიჩი ასეთს პირობებში თივის თავისთვის რასმეს გაკეთებას.“ „გაიქცევა ის კიბეზე თუ ეზოში მას მოსდევს ათი გამწარებული ხმა: არიქა, გააჩერეთ, დაიჭირეთ! დაეცემა თავს გაიტეხს.. გაჩერდი გაჩერდი!“

„იფიქრებს ილია ილიჩი ხანდახან ზამთარში ჩაჯდეს მარხილში, ან გაალოს ფანჯარა.—რომ ატყდება გამწარებული ყვირილი: სად? როგორ შეიძლება? ნუ დარბიხარ, ნუ დადიხარ, არ გაღო ფანჯარა, მოკვდები, გაცივდები. ილია ილიჩი სევდიანი ჩერდება და რჩება სახლში. ის იზრდება მონების ქვეშ ზანტად და სიგვიანით. ძალა რომელიც ეძებდა აქტიურს გამოჩენას უკანვე სხეულში უბრუნდება მას, რომელიც უძლურდება და ქრება. ეს სურათი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენათ დიდია ბავშვებში ფიზიკური ვარჯიშობის მოთხოვნილება. ჩვენს დიდს მწერალს ერთობ კარგათ ესმოდა თუ როგორი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მხიარულს თამაშობას ბავშვებისათვის და რამდენათ შემცდარი იყვნენ მშობლები რომელიც არ აძლევდენ შვილებს ასეთი ვარჯიშობის ნებას.

სამწუხაროთ ეხლაც მრავალს ვხედავთ დედებსა და მამებს რომლებიც ხელმძღვანელობენ აბლომოვის აღზრდის სისტემით. როგორ ხშირად ვხედავთ ჩვენ ბავშვებს ბაღში თავიანთ მშობლების გვერდით წყნარად დამჯდარს, რომლებიც უშლიან მათ სირბილსა და თამაშს იმის შიშით, რომ არ დაიღალონ. ამ გვარად ისინი კლავენ ბავშვში თანდაყოლილი სიცოცხლის ძალას და ხელს უშლიან მას ტანმრთელობის მოპოვებაში. ფიზიკური ვარჯიშობა: სირბილი, ხტუნვა, თამაში ძვირფასია ბავშვისათვის მისთვის, რომ ანვითარებს მათში არ მარტო მუსკულებს, აგრეთვე შინაგან ორგანოებსაც: გულსა. ფილტვებს. ის აჩქარებს მის სუნთქვას, გულის ცემას, აუმჯობესებს მონელებას საჭმელისას. ფიზიკური ვარჯიშობით სასიცოცხლო პროცესი სრულდება დიდის ენერგიით და მაგრდება ნერვიული სისტემა. ყველაფერი ეს საკეთილოთ მოქმედებს ტანმრთელობაზე. უკანასკნელისათვის განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ფიზიკური ვარჯიშობა, რომელიც აჩქარებდეს სუნთქვას და გულის ცემასაც. მაგალითად სირბილის შემდეგ სუნთქვა ხდება უფრო ჩქარი და ღრმა. ფილტვები ღებულობს ბევრს მჟავ—ბადეს, რომელიც აღონიერებს მუშაობას გულისას და მჟავ—ბადე მწრაფლად გადაადის მთელს სხეულში.

(შემდეგი იქნება)

ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობა.

ქალაქში თბილისიდან ცნობა მოვიდა, რომ ამიერ-კავკასიის სეიმს და ახალ მთავრობას გამოუცხადებია ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა ერთა კონფედერაციის ნიადაგზე.

როგორც გადმოგვცემენ თბილისში ამ საკითხის გარშემო დიდი ბრძოლა ყოფილა. სეიმის ფრაქციებში ამ საკითხის გარშემო ტრიალებდენ ერთი კვირის განმავლობაში, მაგრამ რაიმე შეთანხმებამდე ვერ მივიდენ. მხოლოთ გასულ კვირას ეს საკითხი დადებითად გადაუწყვეტიათ.

მთავრობას ზავის საკითხიც დადებითად გადაუწყვეტია. რაიცა შეეხება ორიენტაციას, ამის შეხებებ ჯერ დანამდვილებით არაფერი არ ვიცით.

ეს ცნობა უკვე აწყობილი გვქონდა როცა თბილისიდან შემდეგი დეპეშა მივიღეთ პირდაპირ მავთულით:

„სეიმის და მთავრობის სხდომა საღამოს ცხრა საათიდან ღამის 2 საათამდე გაგრძელდა. [illegible] და ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა. დამარცხდა გეგეჭკორის მთავრობა.

ამბობენ მთავრობა გადადგა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

საქართველოს დამოუკიდებლობა.

10 აპრილს ამიერ კავკასიის მთავრობის მეთაურმა ა. ჩხენკელმა და სეიმის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძემ რადიო ტელეგრაფით აუწყეს მთელი მსოფლიოს ცენტრის დადგენილება სეიმისა, ამიერ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ აღიარების. ამიერ კავკასიის მთავრობა დიდს სახელმწიფოებს დასტურსა სთხოვს ამიერ კავკასიის დამოუკიდებულებისათვის.

კავკასიის ფრონტი.

ზღვის პირის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ოსმალები გარეკეს ოზურგეთიდან ს ექადიასაკენ.

ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან ერთად ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკება აღდგენილია და მთელ კავკასიის ფრონტზე ბრძოლა შეწყვეტილია.

ბათუმი.

ბათუმიდან ჩამოსული პირები იუწყებიან, რომ ოსმალებმა ქალაქში სრული წესიერება აღადგინეს და მცხოვრებლებს დიდი თავაზიანობით ეპყრობიან.

ახალი ამბავი

✠ ჩვენი გაზეთის მორიგი №-რი ტეხნიკურ მიზეზებისა გამო ნააღდგომებამდე ვერ გამოვა.

◆ **ახალი კომიტეტი** ქუთაისში დაარსდა გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტი, რომლის მიზანია დახმარება გაუწიოს გურიიდან ჩამოსულ ლტოლვილებს და იქ დარჩენილთ მატერიალური დახმარება გაუწიონ. კომიტეტი უკვე შეუდგა საქმეს. კომიტეტის თავმჯდომარეთ არჩეული არის ნიკო მგელაძე, სახალხო შკოლების დირექტორი, მდივნათ ლეო იმნაძე.

ბარკლაი დე-ტოლი და კუტუზოვი

(ისტორიული მიმოხილვა ვ. ფილატოვისა)

რუსის არმია ეგრე მდიდარი ეკატერინე მეორის დროს ბრწყინვალე სპასალარებით, მე —19 საუკუნეში უბელადოთ დარჩა. ამ მძიმე, სამხედროწლეებში ის ჩაუვარდა ხელში საპარადო პლაც გენერლებს როგორც არაკჩეევს და სხვა. ეს ცვლილება მომდინარეობდა საერთო გერმანულ სულიდან რომელიც გამეფდა ჩვენს არმიაში: მწყობრი ნაბიჯი, პეკრიალა ფოლაქები, ჩლუნგი დისციპლინა, რომელმაც მიიყვანა რუსის არმია აუსტერლიცამდე.

დამარცხების გმირები გამეფდა როგორც არმიაში ისე სასახლეში, მხოლოდ აქა იქ რჩებოდენ წასული ომიანობის ბელადნი, და ოდნავ მოჩანდენ ახალი სკოლის განათლებული გენერლები. მაგრამ არც

ერთი და არც მეორენი არ უყვარდათ პავლეს და ალექსანდრეს დღეებში. აგრე გასინჯეთ თვით გენიოს სუვოროვს ძლივს ითმენდენ და მოიწვევდენ ბრძოლის ველზე ინგლისის დაჟინებით. სუვოროვს, რომელმაც დაამარცხა უკეთესი გენერლები იტალიის რესპუბლიკისა არა ხელი წილად შეხვედროდა ნაპოლეონს... ეს პატივი ერგო ერთ მის უკეთეს მოწაფეს გოლენიშჩევ — კუტუზოვს, რომელზედაც იზმაილის ალების შემდეგ სუვოროვი იუწყებოდა: „კუტუზოვი მიდიოდი ჩემს მარცხენა ფრთაზე, მაგრამ ის იყო ჩემი მარჯვენა ხელი.“

ეს იყო ერთი დიდებული არწივთაგანი ეკატერინეს ეპოქისა, რომელმაც იცოდა არა მარტო დასახვა ომის ფართო პლანისა, აგრეთვე გაყვანა ბატალიონისა იერიშში და ომის ცეცხლის ქვეშ გაძღოლა. ორჯერ გადაიხადა კუტუზოვმა თავისი მამაცობისათვის. და ისე სასტიკათ რომ მისი მეორე ჭრილობისმო [illegible] მკურნალმა სთქვა: უნდა ვიფიქროთ რომ განგება იცავს ამ კაცს რაღაც არაჩვეულებრივ შემთხვევისათვის, მისთვის რომ ის რჩება ორი ისეთი ჭრილობისაგან რომელნიც ორივე სასიკვდილოა„ო

მართლაც კუტუზოვის მორჩენა საოცარი გავეა. 1774 წ. ოსმალეთთან ბრძოლაში ალუშთან ის იყო დაჭრილი თვალს უკან იმ ნაირად, რომ ტყვია რომელიც მას მოხვდა მარცხენა საფეთქელში გამოვარდა მარჯვენა თვალთან. მიხაილ ილარიონისძე ამ დღიდან გახდა [illegible]; მაგრამ ის ცოცხალი დარჩა და ექიმები რუსეთისა და საზღვარ-გარეთისა გაკვირვებულნი იყვნენ ამ შემთხვევით.

მეორეთ მან მიიღო სასიკვდილო ჭრილობა ოჩაკოვის იერიშზე, მაგრამ მაგარმა ორგანიზმმა ესეც გადაიტანა. კუტუზოვი იყო არა მარტო ნიჭიერი გენერალი და გმირი ოფიცერი აგრეთვე შესანიშნავი დიპლომატიც რაც მშვენიერად დაამტკიცა თავის ელჩობის დროს კონსტანტინოპოლში რომელიც, ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებას ხელმძღვანელობდა.

ალექსანდრე პირველს არ უყვარდა კუტუზოვი და სთვლიდა მას სასახლის ინტრიგანათ, ცბიერად და უნიჭოთ, იმპერატორს არ შეეძლო მისთვის აუსტერლიცის პატიება სადაც კუტუზოვმა არა სახარბიელო როლი ითამაშა და ვერ გაბედა ეჩვენებინა ალექსანდრესათვის მისი შეცდომა, რომელმაც სასტიკ დამარცხებამდე მიიყვანა. მაგრამ საზოგადო აზრი რუსეთისა მას სხვანაირად უცქეროდა. კუტუზოვი, რომელიც ეკატერინეს ეპოქაში დიდებით შეიმოსა, გმირი მთელი წყება ომებისა, სპასალარი რომელმაც მოუპოვა რუსეთს გამარჯვება ოსმალეთთან ომში მათ თვალში კვლავ ბრწყინავდა.

სამამულო ომის დაწყების წინა ხანებში 5 მაის 1812 ბუხარესტში დადებულ წინასწარ საზავო ხელშეკრულობის ხელის მოწერის შემდეგ კუტუზოვი მოსასვენებლად თავის მამულში წავიდა მაგრამ მოსვენება მას არ ეღირსა. გამოირკვა რა ნაპოლეონის გამოლაშქრება რუსეთზე კუტუზოვი სტოვებს სოფელს და მოდის პეტროგრადში. მთავრობის წარმომადგენელნი მოხუცს მეომარს ცივად შეხვდა და არც გაურიეს საქმეში.

ზაფხულში 1812 წ. საკითხი ომისა რუსეთსა და საფრანგეთშუა ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ ევროპის შუა, რომელიც დაიმორჩილა საფრანგეთმა გადაწყვეტილი იყო. დიდი არმია ნელ-ნელა მაგრამ გადაჭრით წინ მოიწევდა ჩვენს საზღვარზე და 11 ივნის მან გადმოლახა მდ. ნემანი. ნაპოლეონი კი ჯარისადმი ბრძანებაში შემდეგს სწერდა:

„რუსეთი ვერ აცდება თავის ბედს. ნუ თუ ის ფიქრობს რომ ჩვენ შევიცვალეთ? განა ჩვენ არა ვართ მეომრები აუსტერლიცისა? რუსეთი კი გვაწვდის ღირსების აყრას ანუ ომს. არჩევა უეჭველია. მაშინ წინ! გადავლახოთ ნემანი და შევიტანოთ იარაღი რუსეთის საზღვრებში!“

მეორე დღეს 12 ივნის, როცა ალექსანდრე 1—ლი იყო ბალზე პოლიციის მინისტრმა ბალაშოვმა ჩუმათ მოახსენა მას, რომ მტერი შემოსულია რუსეთის საზღვრებში. ეს ცნობა მიაწოდა ბალაშოვს არა ოფიციალურმა ფოსტამ ებრაელებისამ, რომელიც ჩვეულებრივ დროს ემსახურებოდა კომერციულ სასწრაფო ამბების გადმოცემას. ამ ფოსტამ აცნობა მტრის შემოსვლა საზღვრებში სახელმწიფო ფელდეგერის ადრე.

რუსის ჯარი არ იყო მზად მტრის შესახვედრად. საერთო განკარგულება სამხედრო მოქმედების მინდობილი ჰქონდა სამხედრო მინისტრს გენერალ მიხაილ ბოგდანოვიჩს ბარკლაი-დე-ტოლის, რომლის ხელში იყო ფაქტიურად დასავლეთის ერთი არმია, დანარჩენი არმია დასავლეთისა იდგა თავადი ბაგრატიონის უფროსობის ქვეშ, დუნაის არმია ადმირალ ჩიჩაგოვისა და სამი სათადარიგო არმია გენერლებ ტორმასოვის, მელიერ-ზაკომელსკის და ესსენის განკარგულების ქვეშ.

ბარკლაი-დე-ტოლიზე ალექსანდრე 1 დიდს იმედს ამყარებდა. ომის ახლო ხანებში ის წერდა მას: „გთხოვთ არ შეუდრკეთ სიძნელეს იმედი ქონდეთ ღვთის განგებისა და მისი სამართლისა. არ შედრკეთ არამედ გაამაგრეთ თქვენი სული დიდი მიზნით, რომლისაკენ ჩვენ ვესწრაფვით: დავიხსნათ კაცობრიობა იმ სიმძიმიდან, რომლის ქვეშ ის კვნესის და განვათავისუფლოთ ევროპა ჯაჭვებიდან.“ ამ წლებში ალექსანდრე უნიშნავდა ბარკლაი-დე-ტოლის უდიდეს საქმეს დამხობას ნაპოლეონის იმპერიისას და უნებურად გებადება კითხვა: რასთვის ხედავდენ ბარკლაი-დე-ტოლიში იმ ადამიანს, რომელსაც შესძლებოდა ნაპოლეონის დამარცხება?

მიხაილ ბოგდანოვიჩი იყო პოროუჩიკის შვილი ოსტზეიელი აზნაურობიდან, ის დაიბადა 1756 წ, სამსახურში შევიდა 1776 წ. პირველ წლებში ის ერთობ უჩინრად მსახურებდა; პირველად მან თავი ისახელა ნაპოლეონთან ომში პულტუსკის და პრეისიშ ეილაუში. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც მამაცმა და მტკიცე ოფიცერმა. მაგრამ როგორც სპასალარმა მან სრულად ფრთა გაშალა 1809 წ შვედებთან ომში: დაიპყრო რა სასწრაფოთ ფინლიანდია მან გაბედულათ გადავიდა ბოტნიელ სრუტის ყინულებზე და ამით გაამაგრა ახალი პოზიცია.

ბარკლაი დე-ტოლი ხელმძღვანელობდა ფინლიანდიის დაპყრობას და იყო მისი პირველი გენერალი 1810 წ ის დაინიშნა სამხედრო მინისტრად და შეუდგა ჯარის გარდაქმნას ახალ, პროგრესიულ დასაწყისზე. ის ებრძოდა ძველს შეხედულებას, რომ მთელი დისციპლინა და სამხედრო წესი დამყარებული ყოფილიყო სასტიკ სხეულით სასჯელზე. ბარკლაი თვალ ყურს ადევნებდა რომ ოფიცრები განათლებული ყოფილიყვნენ არა მარტო ქცევით, არამედ მეცნიერებითაც; ზრუნავდა სურსათზე და ჯარისკაცთა მდგომარეობაზე. ხანმოკლე მაგრამ ნაყოფიერმა მუშაობამ სამხედრო მინისტრის პოსტზე ბარკლაის მოუპოვა რეპუტაცია საქმიანი კაცისა და თანაც [illegible] მტერი.“ ყველას რაღაც ჰქონდა მისი საწინააღმდეგო, და თვით არ იცოდენ რასთვის,“ — იგონებს გენერალი ლევენშტერნი. არავის არ უყვარდა უთვალადო, ცივი, ომში ხელ-ფეხ მოტეხილი ნემეცი, რომელსაც წილად ერგო არმიის წინამძღოლობა რუსეთის ცხოვრების უმძიმეს წლებში. არც ბარკლაის მდგომარეობა იყო ადვილი ამ პოსტზე მით უმეტეს, რომ ერმოლოვის დახასიათებით ის არ იყო მტკიცე თავის შეხედულებაში, ეშინოდა პასუხისმგებლობას, ეშინოდა ხელმწიფის და მისი მოწყალების დაკარგვის.“ ალექსანდრე მუდამ არმიაში იყო, ოცნებობდა ეთამაშა როლი სპასალარისა, რომლის გარშემო თავს იყრიდენ ყოველგვარი მომეტებულ წილად უცხოელი გამცემელნი; ყველა ისინი აწვდიდენ მას სხვადასხვა პლანებს, ალექსანდრე ყველას უსმენდა, ყველაფერში ეთანხმებოდა. ერთხანს ის გაიტაცა გენერალ ფულმა თავის პროექტით, რომ გაემაგრებიათ ლაგერი დრისთან. ამ პლანის განხორციელება მოითხოვდა დიდს ძალას და საშუალებას და როცა დადგა მომენტი ამ ლაგერის ჯარით შევსებისა ყველასათვის დასანახი გახდა მისი უვარგისობა *)

მთავარი ბინა ხელმწიფის მეთაურობით მთავარსარდლისათვის სახიფათო გარდაიქცა. სტატს-სეკრეტარმა შიშკოვმა პოლიციის მინისტრმა ბალაშოვმა და გრაფ არაკჩეევმა წარუდგინეს ალექსანდრეს წერილობითი მოხსენება, რომელშიაც აღნიშნავდნენ ზიანს ხელმწიფის არმიაში ყოფნისას.

იგრძნო რა ალექსანდრემ უკმაყოფილება არმიისა და თავისი უხერხული მდგომარეობა დასტოვა სამხედრო მოქმედების თეატრი და ჩავიდა მოსკოვში, სადაც მოუწოდებდა ხალხს შემოწირულობისათვის და ახალი რაზმის შესადგენლად. 7 ივლის 1812 წ ალექსანდრეს წასვლის შემდეგ იწყება დამოუკიდებელი მუშაობა ბარკლაი დე ტოლისა.

უნდა ვსთქვათ რომ პლანი დრისთან და პოლოცკთან უკან დახევისა გამომდინარეობდა რუსის ჯარის სისუსტით; მაგრამ რამდენათ სასარგებლო ხდებოდა ძალთა განწყობილება მით უფრო მძიმე ხდებოდა მდგომარეობა მთავარ სარდლისა, რადგან ჯარი და აფიცრობა მიისწრაფოდენ შესატევად საზოგადოაზრი საყვედურობდა განუწყვეტელი უკანდახევით, მაგრამ თვით სუსტი ცდა ვიტებსკში, სალტანოვკაში და სხვა შეტაკებაში გვიჩვენებდა, რომ დიდი არმიის შეჩერება შეუძლებელი ხდებოდა და რუსის ჯარი გაისრისებოდა. ბარკლაიმ გაიგო ეს როგორც სხვა მრავალმა, მაგალითად ერმოლოვმა, მაგრამ მან მხოლოდ ერთმა მიიღო პასუხისმგებლობა თავის თავზე და თითეულ ნაბიჯით უკან დახევით მისი საქმე მძიმდებოდა. სმოლენსკის ქვეშ მოხდა შეერთება თავად ბაგრატიონის არმიასთან და ამ წუთიდან დაიწყო კიდეც ნამდვილი მუშაობა ბარკლაი დე-ტოლისა.

20 ივლის ორი უმთავრესი არმია შეერთდა რომელიც იძლეოდა 120-000 კაცს. მკვირცხლი ბაგრატიონი ამ დღეს ცდილა რომ შეტაკებოდა ნაპოლეონს.

26 ივლის სამხედრო თათბირმა რომელშიაც შედიოდენ ყველა უმაღლესი ხარისხის მხედრები ერთ სულოვანათ გადაწყვიტა იერიშის მიტანა და ბარკალაი თავის სურვილის წინააღმდეგ დასთანხმდა წინწაწევაზე, მაგრამ 2 აგვისტოს იმის შიშით რომ არ ყოფილიყვნენ გზა მოჭრილი ხელახლა უკან იხევენ სმოლენსკთან.

აქ ძველ კედლებთან გაიმართა ორი დღის ბრძოლა 4 და 5 აგვისტოს, რომელშიაც ფრანგებს გაცილებით მეტი ზარალი მოუვიდათ ვიდრე რუსებს ეს წარმატება იძლეოდა საფუძველს გენერალური ბრძოლის დაწყებისას; ბაგრატიონი, ბენიგსენი და დიდი მთავარი კონსტანტინე ერთი სიტყვით ყველანი მოითხოვენ იერიშზე გადასვლას ანუ ქალაქის დაცვას მაგრამ ბარკლაი დე-ტოლი ღამით 5 აგვისტოს ბრძანებისა სცემს უკან დასახევად და ჯარიც წყევლა კრულვით სტოვებს სისხლით მორწყულს მაგრამ მიუცემელს პოზიციებს. საქმე აშკარა უკმაყოფილებამდე მიდიოდა ყველანი კიცხავდა მთავარ სარდლის მოქმედებას, მაგალითად კონსტანტინე პავლეს ძე მივიდა თუ არა თავის ხელ ქვეით ჯართან ხმამაღლა ,,ანუგეშა“ ისინი:

,,რას ვიზამთ მეგობრებო! ჩვენ არა ვართ დამნაშავენი... რუსის სისხლი არა სჩქებს მასში ვინაც ჩვენ ხელმძღვანელობს. მაგრამ უნდა დაუჯეროთ მას. თქვენზე ნაკლებ არ ვიტანჯები მე, მაგრამ რას ვიზამ.

(შემდეგი იქნება)

---

*) თუმცა პრაფესორი გენერალ ნ. მ. მიხნევიჩის განცხადებით სრულიად დაუმტკიცებლათ, რუსებმა დაამარცხეს ნაპოლეონი გენერალ ფულის პლანის წყალობით იხ. „отечественая война изд. сытина 3 т.“

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვისა.